საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № №01–08/34

07 ოქტომბერი, 2013წ. **ქ. ბათუმი**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

2013 წლის 16 სექტემბრიდან განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის რეორგანიზაციის გამო მიზანშეწონილია ბსუ-ს ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით განისაზღვროს წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენელთა ოდენობა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 31-ე მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა რეესტრისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის შესახებ მონაცემების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში, მისი უფლებამოსილების ვადით თითოეული ფაკულტეტიდან განისაზღვროს წარმომადგენელთა ოდენობა შემდეგნაირად:
   ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი;
   ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი;
   გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
   დ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
   ე) ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
   ვ) განათლების ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;
   ზ) ტურიზმის ფაკულტეტიდან 1 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით გამოიცეს ბრძანება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების გამოცხადების შესახებ;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**